განკარგულება:**გ-95. 95232433**

თარიღი:**31/08/2023**

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2023 წლის II კვარტლის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ

,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1.დადებითად შეფასდეს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2023 წლის II კვარტლის შესრულების ანგარიში თანახმად დანართისა.

2.დანართი წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

3.განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - ჰამიდა ზოიძემ.

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი